



გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა **საქართველოს სახელით**

17 ივლისი 2023წ.
თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ცისანა სირბილაძე
სხდომის მდივანი შორენა აბუანდაძე

მოსარჩელე (შეგებებული სარჩელით მოპასუხე) - ნ.გ

მოპასუხე (შეგებებული სარჩელით მოსარჩელე) - სს „ლიბერთი ბანკი“
წარმომადგენელი - თათია ზირაქაშვილი

დავის საგანი - (თავდაპირველი სარჩელით) ხელშეკრულების სტანდარტული პირობის ბათილად ცნობა, უსაფუძვლოდ ჩამოჭრილი თანხის დაბრუნება,

დავის საგანი შეგებებული სარჩელით - სესხის ძირითადი თანხისა და სარგებლის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სასარჩელო მოთხოვნა თავდაპირველი სარჩელით

1.1. ბათილად იქნეს ცნობილი *** და სს „ლიბერთი ბანკს“ (ს/ნ 203828304) შორის, 09.01.2017 წელს დადებული, საბანკო კრედიტის შესახებ ხელშეკრულების 4.1.2. პუნქტი, რომლის მიხედვითაც: „იმ შემთხვევაში, თუ კრედიტის და მასთან დაკავშირებული გადასახდელის გადახდის დღეს მსესხებელი არ განათავსებს კრედიტის მომსახურე ანგარიშზე საკმარის თანხას დავალიანების დასაფარად, მსესხებელი აცხადებს წინასწარ თანხმობას ბანკის სრულ უფლებამოსილებაზე ბანკმა საკუთარი შეხედულებისამებრ განახორციელოს ბანკში მსესხებლის ანგარიშზე არსებული თანხების სრული ან/და ნაწილობრივი ბლოკირება; ან/და ბანკში არსებული მსესხებლის ანგარიშებიდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულების დასაფარად/ შესამცირებლად.“

1.2. სს „ლიბერთი ბანკს“, ნ. გ. სასარგებლოდ, დაეკისროს დაკავებული მიზნობრივი დახმარებისა და ასაკობრივი პენსიის თანხა 260 ლარის ოდენობით.

1.3. სს „ლიბერთი ბანკს“, ნ. გ. სასარგებლოდ, დაეკისროს მოსარჩელის მიერ სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ გაღებული ხარჯის 50 ლარის ანაზღაურება.

[მოთხოვნა დაზუსტებულია 06.06.2022წ. განცხადებითა და სასამართლოს სხდომაზე მიცემული ახსნა - განმარტების დროს (14:20:46:- სთ.-დან).]

თავდაპირველი სარჩელის საფუძვლები:

1. ერთი მხრივ სს „ლიბერთი ბანკსა“ და მეორე მხრივ ნ. გ. -ს შორის, 2017 წლის 09 იანვარს გაფორმებული იქნა N26208681 საბანკო კრედიტის ხელშეკრულება (ლიბერთი ექსპრესი), ლიმიტით 300 ლარი, სარგებელი - 39.6%, კრედიტის მოქმედების ვადად განისაზღვრა 1 თვე 08.02.2017წ.-მდე. 11.01.2022წ. მოსარჩელემ მიაღწია საპენსიო ასაკს, რის გამოც მიმართა მოპასუხე ბანკს პენსიის აღებს მოთხოვნით. მოპასუხემ განუმარტა, რომ 09.01.2017წ. ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანება ერიცხებოდა ბანკში მოსარჩელეს და შესაბამისად 4.1.2 მუხლის თანახმად ბანკი იტოვებდა უფლებას თანხა დაეკავებინა.

2. 2022 წლის 09 იანვარს, მოსარჩელესა და მოპასუხე მხარეს შორის დადებულ სწრაფი სესხის ხელშეკრულების 4.1.2 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ კრედიტის და მასთან დაკავშირებული გადასახდელის გადახდის დღეს მსესხებელი არ განათავსებს კრედიტის მომსახურე ანგარიშზე საკმარის თანხას დავალიანების დასაფარად, მსესხებელი აცხადებს წინასწარ თანხმობას ბანკის სრულ უფლებამოსილებაზე ბანკმა საკუთარი შეხედულებისამებრ განაზოციელოს ბანკში მსესხებლის ანგარიშზე არსებული თანხების სრული ან/და ნაწილობრივი ბლოკირება; ან/და ბანკში არსებული მსესხებლის ანგარიშებიდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულების დასაფარად შესამცირებლად.

ვინაიდან ხსენებული პირობა არის სტანდარტული ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი და არ შეთანხმებულა მოპასუხესთან დეტალურად წარმოადგენს არანამდვილ პირობას. ხსენებულიდან გამომდინარე მოსარჩელე მოითხოვს ბათილად იქნეს ცნობილი ნ.გ-სა (პ/ნ) და სს „ლიბერთი ბანკს“ (ს/ნ 203828304) შორის, 09.01.2017 წელს დადებული, საბანკო კრედიტის შესახებ ხელშეკრულების 4.1.2. პუნქტი, რომლის მიხედვითაც: „იმ შემთხვევაში, თუ კრედიტის და მასთან დაკავშირებული გადასახდელის გადახდის დღეს მსესხებელი არ განათავსებს კრედიტის მომსახურე ანგარიშზე საკმარის თანხას დავალიანების დასაფარად,

მსესხებელი აცხადებს წინასწარ თანხმობას ბანკის სრულ უფლებამოსილებაზე ბანკმა საკუთარი შეხედულებისამებრ განახორციელოს ბანკში მსესხებლის ანგარიშზე არსებული თანხების სრული ან/და ნაწილობრივი ბლოკირება; ან/და ბანკში არსებული მსესხებლის ანგარიშებიდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულების დასაფარად/შესამცირებლად."

3. გარიგების ბათილად ცნობის გამო მასვე უნდა დაუბრუნდეს მიზნობრივი დახმარებისა და საპენსიო გასაცემლის დაკავებული ნაწილი ჯამში 260 ლარის ნაწილში.

სასარჩელო მოთხოვნა შეგებებული სარჩელით:

1.1. ნ. გ. სს „ლიბერთი ბანკის“ სასარგებლოდ, დაეკისროს 416 ლარის გადახდა (საიდანაც სესხის ძირითადი თანხაა 281.16 ლარი, სარგებელი 134.84 ლარი).

1.2. ნ. გ. სს „ლიბერთი ბანკის“ სასარგებლოდ დაეკისროს მოსარჩელის მიერ სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ გაღებული ხარჯის 50 ლარის ანაზღაურება.

შეგებებული სარჩელის საფუძვლები:

1. სს „ლიბერთი ბანკსა“ და მეორე მხრივ ნ. გ. შორის, 2017 წლის 09 იანვარს გაფორმებული იქნა N26208681 საბანკო კრედიტის ხელშეკრულება მოპასუხემ ვერ შეასრულა. იგი მიმართავდა ბანკს და ახდენდა სესხის პროლონგირებას / გადავადებას, ბოლო პროლონგირება გაკეთდა 2018 წლის 15 სექტემბერს. აღნიშნულის საფუძველზე ნ.გ-ს 300 ლარიანი კრედიტის დაბრუნებისთვის მიეცა დამატებით ვადა რამაც შეადგინა 23 თვე, პროლონგირებულ პერიოდზე ასევე განისაზღვრა საპროცენტო სარგებელი წლიური 39.6%-ის ოდენობით, ვადაგადაცილების პირგასამტეხლო 0.27% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების გრაფიკი მსესხებლის მიერ დარღვეულ იქნა 22.07.2020 ში, შესაბამისად დავალიანება ერიცხება აღნიშნულ პერიოდიდან. სს „ლიბერთი ბანკმა“ შეასრულა თავისი ვალდებულება და გასცა კრედიტი, მსესხებელმა კი დაარღვია ნაკისრი ვალდებულება, რაც გამოიხატა იმაში, რომ მან ვერ გადაიხადა კრედიტის თანხა, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, აქედან გამომდინარე, დღეის მდგომარეობით იმყოფება ვადაგადაცილებაში და სს „ლიბერთი ბანკის“ მიმართ ერიცხება დავალიანება სესხზე N26208681- 416. ლარის (სესხის ძირი-281.16.ლარი, პროცენტი-134.84 ლარი) ოდენობით.

2. გამომდინარე იქიდან, რომ მსესხებლის მხრიდან ნაკისრი ვალდებულებები არ შესრულდა ნებაყოფლობით, ამასთან, ვერ განხორციელდა კრედიტორისათვის მისაღები პირობებით მორიგების პროცესის წარმოება, სს

„ლიბერთი ბანკმა“ მიზანშეწონილად მიიჩნია, დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით, მსესხებლის მიმართ არსებული მოთხოვნა დაიკმაყოფილოს სასამართლოს მეშვეობით. მსესხებელი ინფორმირებული იყო არსებული დავალიანების ოდენობისა და თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების შესახებ. არ სრულდება ხელშეკრულების პირობები, კერძოდ არ ხდება საკრედიტო თანხის დაბრუნება. მოსარჩელემ 2023 წლის 26 აპრილს შეწყვიტა ხელშეკრულება.

2. მოპასუხის პოზიცია

2.1. სს „ლიბერთი ბანკმა“ წარმოდგენილი შესაგებელით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მხარეთა შორის არსებობდა სახელშეკრულებო ურთიერთობა. მოსარჩელემ ისეხა თანხა, შემდგომ კი არ შეასრულა ვალდებულება ჯეროვნად. სს „ლიბერთი ბანკის“ მიერ ნამდვილად მოხდა თანხების ჩამოჭრა მოვალის ანგარიშიდან, თუმცა ბანკს აღნიშნულის ლეგიტიმური უფლება ცალსახად ჰქონდა.

ხელშეკრულების სტანდარტული პირობების 4.1.2. პუნქტის სახელშეკრულებო დათქმა არ ეწინააღმდეგება ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის ნორმებს, მათ შორის არც სამოქალაქო კოდექსის 346-ე მუხლს. ზემოაღნიშნული მუხლის ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობს. ხელშეკრულების სადავო მუხლი თავის მხრივ გულისხმობს, რომ თუ კრედიტის და მასთან დაკავშირებული გადასახდელების გადახდის დღეს მსესხებელი არ განათავსებს კრედიტის მომსახურე ანგარიშზე საკმარის თანხას დავალიანების დასაფარად, მსესხებელი აცხადებს წინასწარ თანხმობას ბანკის სრულ უფლებამოსილებაზე ბანკმა საკუთარი შეხედულებისამებრ განახორციელოს ბანკში მსესხებლის ანგარიშ(ებ)ზე არსებული თანხის სრული ან/და ნაწილობრივი ბლოკირება; ბანკში არსებული მსესხებლის ანგარიშ(ებ)იდან უაქცეპტოდ ჩამოჭეროს ყველა გადასახდელი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად კრედიტის და მასთან დაკავშირებული გადასახდელების თანხები) და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულების დასაფარად, შესამცირებლად. ამდენად, ბანკმა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მოახდინა ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრა და დაიფარა ვადაგადაცილებული დავალიანება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მხარეთა შორის ხელშეკრულების არსებობა წარმოადგენს ვალდებულების წარმოშობის წინაპირობას, ხოლო ამავე კოდექსის 362-ე მუხლის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. განსახილველ შემთხვევაში სს „ლიბერთი ბანკმა“ შეასრულა ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულებები და კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით გასცა მსესხებელზე შესაბამისი კრედიტი მსესხებლის მხრიდან კი ცალსახად ჰქონდა ადგილი 361-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევას, კერძოდ, მოპასუხემ

მიიღო კრედიტი თუმცა, არ უზრუნველყო სესხის გრაფიკით გათვალისწინებული თანხის ჩარიცხვა. სსკ 625-ე მუხლის თანახმად, მხარეთა შეთანხმებით სესხისთვის შეიძლება გათვალისწინებული იქნეს პროცენტი.

მოპასუხის მოზიციან შეგებებულ სარჩელოზე

2.2. შეგებებულ სარჩელოზე წარმოდგენილი შესაგებლით მოპასუხემ უარყო მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და სასარჩელო მოთხოვნები არ ცნო. შესაგებელში მითითებულია, რომ სს „ლიბერთი ბანკი“ იქცევა არაკეთილსინდისიერად.

მოსარჩელის (შეგებებულ სარჩელით მოპასუხის) განმარტებით, მსესხებლის ვალდებულება დარღვეულ იქნა 22.07.2020წ. და მის შემდგომ სესხის დაფარვა აღარ განხორციელებულა, შესაბამისად, გაუგებარია, თუ რატომ მოხდა გაფრთხილების წერილის გაგზავნა, 2023 წელს, სარჩელის აღძვრის შემდეგ. ნათელია, რომ, აღნიშნული წერილობითი გაფრთხილების წერილი, ასევე სატელეფონო მოკლექტესტური შეტყობინებები, ატარებდა ფორმალურ ხასიათს და მხოლოდ იმიტომ გამოაგზავნა მოსარჩელემ, რომ, სასამართლოში მტკიცებულების სახით წარედგინა და არა იმიტომ, რომ, რეალურად მომხდარიყო მისი ინფორმირებულობა დავალიანების არსებობის შესახებ.

3. ფაქტობრივი გარემოებები:

3.1. უდავო ფაქტობრივი გარემოებები

3.1.1. სს „ლიბერთი ბანკსა“ და ნ.გ-ს შორის, 2017 წლის 09 იანვარს გაფორმებული იქნა N26208681 საბანკო კრედიტის ხელშეკრულება (ლიბერთი ექსპრესი).

3.1.2. ლიბერთი ექსპრესის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასასესხებელი თანხის ოდენობამ შეადგინა 300 ლარი, სარგებელი შეადგენდა - 39.6%, კრედიტის მოქმედების ვადად განისაზღვრა 1 თვე. თანხა სარგებელთან ერთად უნდა დაბრუნებულიყო 08.02.2017წ.-მდე.

3.1.3. კრედიტის ხელშეკრულების სტანდარტული პირობების (4.1.2. მუხლის) თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ კრედიტის და მასთან დაკავშირებული გადასახდელის გადახდის დღეს მსესხებელი არ განათავსებს კრედიტის მომსახურე ანგარიშზე საკმარის თანხას დავალიანების დასაფარად, მსესხებელი აცხადებს წინასწარ თანხმობას ბანკის სრულ უფლებამოსილებაზე ბანკმა საკუთარი შეხედულებისამებრ განახორციელოს ბანკში მსესხებლის ანგარიშზე არსებული თანხების სრული ან/და ნაწილობრივი ბლოკირება; ან/და ბანკში არსებული მსესხებლის ანგარიშებიდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულების

დასაფარად/შესამცირებლად.“

3.1.4. ნ.გ. პერიოდულად იხდიდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას, ის ახდენდა სესხის პროლონგირებას 22.07.2020 წლამდე და იხდიდა ძირითადი გადავადების თანხებს.

3.1.5. სს „ლიბერთი ბანკმა“ ნ.გ-ს უაქცეპტო წესით ჩამოაჭრა 1040 ლარი მხართა შორის 2017 წლის 09 იანვარს გაფორმებული N26208681 საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე არსებული დავალიანების დასაფარად.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- ლიბერთი ექსპრესის განაცხადი;
- სესხის ნახვის შესახებ ამონაწერი და პირადობის მოწმობის ასლი;
- კრედიტის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები;
- ამონაწერები საბანკო ანგარიშებიდან;
- მხარეთა ახსნა - განმარტებები (იხ. სხდომის ოქმები საქმეში).

3.2. დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები

3.2.1. სს „ლიბერთი ბანკსა“ და ნ.გ-ს შორის 2017 წლის 09 იანვარს გაფორმებული N26208681 საბანკო კრედიტის (ლიბერთი ექსპრესის) ხელშეკრულების 4.1.2. მუხლი ბათილია.

3.2.2. ნ.გ-ს, სს „ლიბერთი ბანკის“ სასარგებლოდ ერიცხება დავალიანება 281.16 ლარის ოდენობით.

3.2.3. სს „ლიბერთი ბანკის“ მოთხოვნა მასსა და ნ.გ-ს შორის 2017 წლის 09 იანვარს გაფორმებული იქნა N26208681 საბანკო კრედიტის (ლიბერთი ექსპრესის) ხელშეკრულებიდან გამომდინარე არ არის ხანდაზმული და განხორციელებადია.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- ლიბერთი ექსპრესის განაცხადი;
- სესხის ნახვის შესახებ ამონაწერი და პირადობის მოწმობის ასლი;
- კრედიტის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები;
- ამონაწერები საბანკო ანგარიშებიდან;
- პრეტენზიის წერილი;
- პრეტენზიაზე წერილობითი პასუხი;
- ამონაწერი გადახდების ისტორიიდან;
- მხარეთა ახსნა - განმარტებები (იხ. სხდომის ოქმები საქმეში).

სამოტივაციო ნაწილი:

4. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა.

4.1. თავდაპირველ სარჩელზე დადგენილი გარემოები ხელშეკრულების სტანდარტული პირობის ბათილად ცნობისა და უსაფუძვლოდ ჩამოჭრილი თანხების უკან დაბრუნების ნაწილში შეესაბამება, რის გამოც სარჩელი კმაყოფილდება.

4.5. შეგებებული სარჩელზე დაყენებული სასარჩელო მოთხოვნები შეესაბამებიან მის სამართლებრივ საფუძვლებს, რის გამოც იგი ნაწილობრივ კმაყოფილდება.

5. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 346-ე, 385-ე, 976-ე და 867-ე, 868-ე მუხლებით

6. სამართლებრივი შეფასება

6.1. დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საბანკო კრედიტის შესახებ ნორმებით (867-873 მუხლები).

საქმის მასალებით დადგენილია, რომ სს „ლიბერთი ბანკსა“ და მეორე მხრივ ნ.გ. შორის, 2017 წლის 09 იანვარს გაფორმებული იქნა N26208681 საბანკო კრედიტის ხელშეკრულება (ლიბერთი ექსპრესი), ლიბერთი ექსპრესის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ოდენობამ შეადგინა 300 ლარი, სარგებელი - 39.6%, კრედიტის მოქმედების ვადა 08.02.2017წ.-მდე.

დადგენილია, რომ მსესხებელმა დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი თანხის დაბრუნების ვალდებულება და პერიოდულად ნაცვლად ვალდებულების შესრულებისა იხდიდა ვალდებულების გადავადების საკომისიოს / თანხებს. იმის გამო რომ ვალდებულება არ შესრულდა ჯეროვნად ბანკმა სახელშეკრულებო წესზე, კონკრეტულად კი მის 4.1.2 მუხლზე მითითებით დააკავა თანხები. დაკავებული თანხების ნაწილი ბანკმა დაუბრუნა მოსარჩელეს. დარჩენილია მხოლოდ 260 ლარი. მსესხებელმა (თავდაპირველმა მოსარჩელემ) მოითხოვა 09.01.2017წ. საბანკო კრედიტის შესახებ ხელშეკრულების სტანდარტული პირობა უაქცეპტოდ თანხის ჩამოჭრის შესახებ (ამავე ხელშეკრულების 4.1.2. მუხლი) ბათილად იქნეს ცნობილი, რომლის მიხედვითაც: „იმ შემთხვევაში, თუ კრედიტის და მასთან დაკავშირებული გადასახდელის გადახდის დღეს მსესხებელი არ განათავსებს კრედიტის მომსახურე ანგარიშზე საკმარის თანხას დავალიანების დასაფარად, მსესხებელი აცხადებს წინასწარ თანხმობას ბანკის სრულ უფლებამოსილებაზე

ბანკმა საკუთარი შეხედულებისამებრ განახორციელოს ბანკში მსესხებლის ანგარიშზე არსებული თანხების სრული ან/და ნაწილობრივი ბლოკირება; ან/და ბანკში არსებული მსესხებლის ანგარიშებიდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულების დასაფარად/შესამცირებლად.“

სასამართლო აქვე მიუთითებს, რომ მართალია საქმეში არ მოიპოვება 09.01.2017წ. ხელშეკრულება, თუმცა მოპასუხედ დასახელებულმა ბანკმა მოსარჩელის საჩივარზე წარდგენილ წერილობით პასუხში თავად მიუთითა 4.1.2 მუხლის დისპოზიციასზე და ზუსტი ფორმულებითაც წარუდგინა მხარეს. ამდენად, ისეთ ფაქტებზე, რაზეც მხარეები არ დაობენ სასამართლო ცალკე მსჯელობას ან ფაქტების დადგენისათვის აუცილებელ კვლევას აღარ აწარმოებს.

6.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 346-ე მუხლის თანახმად, ბათილია ხელშეკრულებათა სტანდარტული პირობა, მიუხედავად ხელშეკრულებაში მისი ჩართვისა, თუ იგი ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგოდ საზიანოა ხელშეკრულების მეორე მხარისათვის. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოებები, რომელთა არსებობისას იქნა ეს პირობები ხელშეკრულებაში შეტანილი, მხარეთა ორმხრივი ინტერესები და სხვა.

კერძო სამართალში მოქმედი მხარეთა ნების ავტონომიის პრინციპი მოიცავს ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის თავისუფლებას. მხოლოდ მხარეთა რეალური თანასწორობის პირობებში მოქმედებს სრულყოფილად ეს პრინციპი, ხოლო იქ, სადაც მხარეები მხოლოდ ფორმალურად არიან თანასწორი, რეალურად კი - ერთ-ერთი მხარე აშკარა უპირატესობით სარგებლობს ხელშეკრულების პირობების განსაზღვრისას, მეორე მხარეს კი მხოლოდ - შეთავაზებულ პირობებზე დათანხმება ან ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმა შეუძლია, ამ დროს ნების ავტონომია სრულყოფილად ვერ ხორციელდება და მხარეთა ინტერესების სამართლიანი გათანაბრების მიზნით კანონი უშვებს ხელშეკრულების შინაარსის კონტროლს. ხელშეკრულების შინაარსის კონტროლის ერთ-ერთი გამოხატულებაა სტანდარტული პირობების ბათილობის შესახებ საკანონმდებლო დანაწესები.

სტანდარტულ პირობებად ითვლება ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ ცალმხრივად წინასწარ შემუშავებული პირობები, რომლებიც მრავალჯერადი გამოყენებისთვის არის გამიზნული და მზა სახით არის შეთავაზებული მეორე მხარისთვის, ე.წ. „ფორმულარის“ სახით.

ხელშეკრულების სტანდარტული პირობების დამცავი რეგულირების გამოყენებამდე უნდა შეფასდეს, ცალკეული პირობა წინასწარ ჩამოყალიბებული და მხარისთვის შეთავაზებულია, თუ - მხარეთა შორის

ინდივიდუალურადაა შეთანხმებული. შესაძლებელია, ხელშეკრულების ზოგიერთი პირობა იყოს სტანდარტული, ზოგი კი - ინდივიდუალურად შეთანხმებული.

განსახილველ შემთხვევაში მოპასუხეს თავდაპირველ სარჩელოზე სადავოდ არ გაუხდია მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოება, რომ ხელშეკრულების ტექსტი ბანკის მიერ იყო წინასწარ შემუშავებული და ხელმოსაწერად შეთავაზებული კლიენტისთვის, მეტიც ის დაეთანხმა კიდევ ამგვარ ფაქტობრივ გარემოებას. **სადავოდ არ გამხდარა ისიც, რომ 09.01.2017წ. საბანკო კრედიტის შესახებ ხელშეკრულების 4.1.2. პუნქტი ცალკე ინდივიდუალურად არ ყოფილა კლიენტთან შეთანხმებული.** უნდა აღინიშნოს, რომ დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, ხსენებული ხელშეკრულების პირობებიდან შესაძლოა საპროცენტო სარგებელი, კრედიტით სარგებლობის ვადა და დასარიცხი საპროცენტო სარგებელი (ანუ, ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები) შესაძლოა შეცვლილიყო კიდევ მხარეთა თანხვედრი სურვილის არსებობის შემთხვევაში, მაგრამ არა ხელშეკრულების სხვა პუნქტები (და არც სადავოდ გამხდარი პუნქტი).

სტანდარტული პირობებით ხელშეკრულების დადებისას კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვა წარმოადგენს მომხმარებლის დამატებითი საფრთხეების უზრუნველყოფის გარანტიას, რადგან შეთანხმება, რომელიც ბოჭავს მას გარკვეული ვალდებულებებით, არის არა კონსესუსის, არამედ ცალმხრივად შემუშავებული შეთავაზების შედეგი. ამის გათვალისწინებით, სამოქალაქო კოდექსი სტანდარტული პირობებით დადებული ხელშეკრულების შინაარსის კონტროლის მიზნით აწესებს მთელ რიგ შეზღუდვებს, რათა აიძულოს ოფერენტი, კეთილსინდისიერად გამოიყენოს არსებული უპირატესობა და ამით გაანეიტრალოს არსებული პოზიციური დისბალანსი.

ამდენად, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების დამცავი ფუნქციის გამოყენების წინაპირობას წარმოადგენს 2017 წლის საბანკო კრედიტის ხელშეკრულების 4.1.2. პუნქტის განსაზღვრა ხელშეკრულების სტანდარტულ პირობის ფორმით. შედეგად, იგი უნდა შეფასდეს კეთილსინდისიერების კონტექსტში.

სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლი და შემდგომი დებულებები წარმოადგენს საბანკო კრედიტის ხელშეკრულების მარეგულირებელ ცენტრალურ ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსს და მისი გამოყენების პროცედურულ საკითხებს ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში.

ვინაიდან სადავო საკითხი წარმოიშვა საბანკო კრედიტის ხელშეკრულების სივრცეში, სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, შეაფასოს მისთვის

დამახასიათებელი სამართლებრივი ასპექტები, რაც აქცევს მას ხელშეკრულების ცალკეულ სახედ. მიუხედავად იდენტური შინაარსისა, სამოქალაქო კოდექსი სესხის ხელშეკრულების დეფინიციისგან მიჯნავს და სპეციალური მოწესრიგების სფეროში აქცევს საბანკო კრედიტის ხელშეკრულებას. კანონმდებლის ამგვარი დამოკიდებულება განპირობებულია სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილე სუბიექტების კლასიფიკაციით, სადაც გარიგების ერთ-ერთ მხარედ ყოველთვის საკრედიტო დაწესებულება ფიგურირებს. სესხის ხელშეკრულების ერთგვაროვანი რეგულაციების გავრცელება საბანკო კრედიტის ხელშეკრულებაზე ვერ იქნება შესატყვისი საბანკო კომერციაში დამკვიდრებულ თავისებურებებთან, რაც უარყოფითად აისახება საკრედიტო დაწესებულებასთან შედარებით პოზიციურად არახელსაყრელ პირობებში მყოფ მხარეზე.

სამოქალაქო კოდექსის ტენდენცია, რომ დამოუკიდებელი მოწესრიგების ფარგლებში მოაქციოს საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, მეტყველებს იმაზე, რომ კანონმდებლის მიერ გაზიარებულია ეკონომიკურ ურთიერთობებში დანერგილი „ძლიერი“ და „სუსტი“ მხარის იურიდიული მოდელი, რომლის ფუნქციაა, უზრუნველყოს არათანაბარ პირობებში მყოფი მხარეების, ეკონომიკურად უფრო სუსტი მხარის სამართლებრივი მდგომარეობა და დაიცვას ისინი საბანკო ურთიერთობებში არსებული ჩვეულებრივი რისკებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო კოდექსი ამკვიდრებს ურთიერთობის მონაწილეთა დაცვის ერთიან სტანდარტს, „სუსტი მხარის“ ინტერესების დაცვის აუცილებლობა და აღნიშნული მიზნების სამართლიანი განხორციელება მოითხოვს კანონით გარანტირებული მხარეთა თანასწორობის პრინციპიდან ფორმალურ გადახვევას. პოზიციური ბალანსის დაცვა ფაქტობრივად უზრუნველყოფს სუსტი მხარის დამატებით უფლებებს და შესაბამისად, აკისრებს მის ოპონენტს იმაზე მეტ ვალდებულებებს, ვიდრე სხვა სამართლებრივ ურთიერთობებში. ამავდროულად, სასამართლო განმარტავს, რომ „სუსტი მხარის“ დეფინიცია არ გულისხმობს პირის სტატუსს, არამედ მის მდგომარეობას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

საბანკო კრედიტის ხელშეკრულება იურიდიულ დოქტრინაში განიხილება გარიგების იმგვარ სახედ, სადაც, ხშირ შემთხვევაში, მხარეები ერთმანეთის ოპონირებას ახორციელებენ არათანაბარი პოზიციებიდან. ერთის მხრივ, გარიგების ერთ-ერთ მონაწილედ ყოველთვის ფიგურირებს საკრედიტო დაწესებულება, მისი ფინანსური და ინტელექტუალური რესურსით. ხელშეკრულების ცალკეულ სახედ მისი ფორმირება, წარმოადგენს საკანონმდებლო კონტროლის გამოხატულებას, გაანეიტრალოს არსებული დისბალანსი „სუსტი“ მხარის ინტერესების უპირატესი დაცვის კუთხით, რომლის დროსაც საკრედიტო დაწესებულება შეზღუდულია მოქმედების უფრო მაღალი სტანდარტებით. მაგალითისათვის, სამოქალაქო კოდექსის 873-ე მუხლის შინაარსი, რომელიც არეგულირებს საბანკო კრედიტის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შესაძლებლობას, ამკვიდრებს

გართულებულ პროცედურას და ავალდებულებს კრედიტორს, გამოიჩინოს მაქსიმალური ძალისხმევა გარიგების შესანარჩუნებლად მიზნით. გარიგების ვადამდე შეწყვეტის უფლების გამოყენება მას შეუძლია მხოლოდ ვალდებულების ზედიზედ ორჯერ დარღვევის შემთხვევაში და, ამავდროულად, კრედიტორი ვალდებულია, მისცეს მოვალეს დამატებითი ორკვირიანი საშელავათო პერიოდი, ვალდებულების ვადამოსული ნაწილის შესასრულებლად. სხვა შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტა არალეგიტიმურია და ართმევს საკრედიტო დაწესებულებას მასთან დაკავშირებული უფლებების გამოყენების შესაძლებლობას.

უნდა აღინიშნოს, რომ კეთილსინდისიერი ქცევის ტესტი საბანკო კრედიტის ხელშეკრულების ფარგლებში დამატებით ავალდებულებს საკრედიტო დაწესებულებას, როგორც ძლიერ მხარეს, უზრუნველყოს „სუსტი“ მხარის - მსესხებლის ინფორმაციული ხელმისაწვდომობა გარიგების ყველა მნიშვნელოვან პირობაზე, რომ მან შეძლოს ინფორმირებული არჩევანის გაკეთება ხელშეკრულების ხელმოწერისას.

საბანკო კრედიტის ხელშეკრულების გაფორმებისას ინფორმაციული უზრუნველყოფის დაცვის ვალდებულება ასახულია ასევე ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2008 წლის 23 აპრილის 2008/48 დირექტივაში (**DIRECTIVE 2008/48/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 23 April 2008**), რომელიც აწესრიგებს მომხმარებლის მონაწილეობას საბანკო-სამართლებრივ ურთიერთობებში (საქართველოსთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება სავალდებულო წესით ითვალისწინებს აღნიშნული დირექტივის იმპლემენტაციას). მართალია, მისი იურიდიული მოქმედების არეალი არ მოიცავს ისეთ გარიგებებს, რომლებიც დადებულია სტანდარტული პირობების შესაბამისად, თუმცა გასაზიარებელია დირექტივის სულისკვეთება, დაუწესოს ხელშეკრულების „ძლიერ“ მხარეს საბანკო კრედიტის ხელშეკრულების მაქსიმალური გამჭვირვალობის სტანდარტი უზრუნველყოფა, რაც სწორედ „სუსტი მხარის“ დაცვის პერსპექტივიდან გამომდინარეობს.

იმგვარ სახელშეკრულებო ურთიერთობებში, სადაც საბანკო დაწესებულებაც მონაწილეობს მას - როგორც ხელშეკრულების ძლიერ მხარეს ევალება წინასახელშეკრულებო ურთიერთობების დამყარებისას კონტრაქტს სრულად მიაწოდოს ინფორმაცია ხელშეკრულების პირობებზე, რომელიც გავლენას მოახდენს მსესხებელზე. ინფორმირება დასაშვებია არამხოლოდ წერილობითი, არამედ ზეპირი ფორმითაც (მსგავს საკითხთან დაკავშირებით იხილეთ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება - **court of justice of the european union 18 december 2014. judgment in case C-449/13.CA Consumer Finance SA V Ingrid Bakkaus and Others 18.09.2014**).

საკრედიტო დაწესებულების მიერ ინფორმირების ვალდებულების სრულფასოვანი შესრულება, შესაძლებლობას აძლევს მსესხებელს, თანასწორი

შესაძლებლობების პირობებში, საკუთარი პასუხისმგებლობით მიიღოს გადაწყვეტილება ნების თავისუფალი და გაცნობიერებული ფორმირებით. სხვა შემთხვევაში, ინფორმაციული უთანასწორობა შესაძლებლობას აძლევს გარიგების „ძლიერ“ მხარეს, თავს მოახვიოს ოპონენტს მისთვის ხელსაყრელი, წინასწარ შემუშავებული დებულებები. საქმის მასალებით დადასტურებულია ფაქტი იმის შესახებ, რომ ბანკის თანამშრომელმა მიაწოდა მსესხებელს ინფორმაცია საბანკო კრედიტის მნიშვნელოვანი პირობების შესახებ, თუმცა არა სადავო პუნქტის ან სხვა მნიშვნელოვანი პირობების შესახებ.

სტანდარტული პირობის შეთავაზებისას, პირის სრული ინფორმირება, როგორც კეთილსინდისიერი მოქმედების მაჩვენებელი, გაზიარებულია ასევე 2010 წლის უნიდროუას საერთაშორისო პრინციპებით (UNIDROIT PRINCIPLES), კერძოდ, 2.1.20. მუხლის თანახმად, პირობას, რომელიც სტანდარტული სახისაა და გააჩნია იმგვარი ხასიათი, რომ მეორე მხარე გონივრულად არ მოელოდა მას, არ გააჩნია ძალა, გარდა იმ შემთხვევისა თუ აღნიშნული პირობა მეორე მხარის მიერ ნათლად იყო მიღებული (**Surprising terms**).

მხარე, რომელიც იღებს მეორე მხარის სტანდარტულ პირობებს, იბოჭება მათი სამართლებრივი შინაარსით, მიუხედავად იმისა, ცნობილი იყო თუ არა მისთვის ამ პირობის შინაარსის შემცველი ყველა დეტალი ან რამდენად გასაგები იყო მისთვის პირობის მნიშვნელობა. ამ წესისაგან გამონაკლისი ასახულია უნიდროუას 2.1.20 მუხლში, რომლის მიზანია, დაიცვას მომხმარებელი მეორე მხარის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულებისაგან, რომელიც სტანდარტულ პირობების გამოყენებით ცდილობს თავისი პოზიციის მართლსაწინააღმდეგო უპირატესობის უზრუნველყოფას, მომხმარებელზე საკუთარი პირობების ფარულად თავს მოხვევის გზით და რომელსაც მეორე მხარე, გონივრული ვარაუდით, არ მიიღებდა. აღნიშნული ნორმა იცავს მომხმარებელს სტანდარტული პირობის შინაარსით გამოწვეული მოულოდნელი შედეგებისაგან.

09.01.2017წ. საბანკო კრედიტის ხელშეკრულების 4.1.2. ქვეპუნქტით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგების მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ იგი წარმოადგენს სტანდარტულ პირობას. შესაბამისად, მისი შინაარსი საჭიროებდა სავალდებულო განმარტებას. ხელშეკრულების ეს დათქმა განსაზღვრავს სს „ლიბერთი ბანკის“ ხელმისაწვდომობას ნ.გ-ს საბანკო ანგარიშებიდან თანხების უაქცეპტო - ე.ი. მსესხებლის მიერ შემდგომში თანხმობის გაუცემლად, ჩამოჭრასთან / დაკავებასთან დაკავშირებით. ამ საფუძველზე დაყრდნობით ბანკმა უაქცეპტოდ ჩამოჭრა 260 ლარი მოსარჩელის იმ საბანკო ანგარიშიდან, რომელიც განკუთვნილი იყო სოციალურად დაუცველთა შემწეობისათვის სახელმწიფოს მხრიდან ჩარიცხული შემწეობის თანხების აკუმულირებისათვის. შესაბამისად, მისი (ხელშეკრულების სადავო პუნქტის) მნიშვნელობა არსებითია და ინფორმაციული დეფიციტის პირობებში

გამორიცხებოდა მსესხებლის გაცნობიერებული არჩევანის შესაძლებლობა და რისკების ეფექტური მართვის ჭრილში.

სასამართლო ხელშეკრულების სადავო პირობას აფასებს ამ კონკრეტული საქმისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ნიშნების მხედველობაში მიღებით. ზოგადად მსგავსი ტიპის შეთანხმება შეიძლება სხვა შემთხვევაში არ ჩათვლილიყო ბათილად. თუმცა, ხსენებული საქმის მასალებით დადასტურებულია: ა) მოსარჩელის მიერ სესხის ხელშეკრულების ელექტრონულად გაფორმება; ბ) მსესხებლის სოციალურად დაუცველობა, რის გამოც ღებულობს საარსებო მინიმუმს, მისი სოციალური განსაკუთრებული საჭიროება ასაკობრივი პენსიის ბენეფიციაროდ ყოფნის გამო; გ) ხელშეკრულების ძლიერი მხარის მიერ ხელშეკრულების სტანდარტული პირობის ინფორმირების ვალდებულების შეუსრულებლობა; დ) ბანკის მიერ ხელშეკრულების სტანდარტული პირობის შესაბამისად ასაკობრივი პენსიიდან სოციალური პაკეტით გათვალისწინებულზე მეტი ოდენობის თანხების ჩამოჭრა.

არსებული წინაპირობების გათვალისწინებით და ნორმის კანონშესაბამისობის შეფასების მიზნით, სასამართლო მოიხმობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მყარად დადგენილ; პრაქტიკასაც. საქართველოს კონსტიტუციის 5.1 მუხლის თანახმად, საქართველო არის სოციალური სახელმწიფო. ამავე კონსტიტუციის 5.2 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე. სახელმწიფოს მიერ აღიარებულ იმ უფლებებად, რომელთა დაცვის მძლავრი მექანიზმების შესაქმნელად სახელმწიფო ვალდებულია გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა მართებული საშუალება.

ყოველი სახელმწიფო ვალდებულია არსებული რესურსების ფარგლებში მოსახლეობის სოციალური უფლებების დასაცავად მაქსიმალურ ძალისხმევას მიმართავდეს, რათა ამ უფლებათა დაცვის, სულ მცირე, მინიმალურად აუცილებელი დონე მაინც რომ უზრუნველყოს. სხვანაირად, აზრი ეკარგება სახელმწიფოთა საერთაშორისო-სამართლებრივ ვალდებულებებს, რაც გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფოს მოქმედებანი ამ მიმართულებით სტაბილურ, ევოლუციურ ხასიათს უნდა ატარებდეს და დადებითი დინამიკით გამოირჩეოდეს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სიკეთეთა სამართლიანი განაწილება სულაც არ გამორიცხავს გარკვეული კატეგორიის მოქალაქეთათვის ისეთი შეღავათების დაწესებას, რაც საზოგადოებრივი სოლიდარობისა და მხარდაჭერის გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს.“ **(ბაჭუა გაჩეჩილაძე, ვლადიმერ დობორჯგინიძე, გივი დონაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №1/126,129,158, 18 აპრილი, 2002).** „ადამიანის უფლებათა

საყოველთაო დეკლარაციის“ 22-ე მუხლის თანახმად „ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს აქვს სოციალური უზრუნველყოფის, ღირსების შენარჩუნებისა და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, უფლება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში ეროვნული ძალისხმევის, საერთაშორისო თანამშრომლობის მეოხებით, და ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესატყვისად.“ ამ დეკლარაციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი: „ყოველ ადამიანს უფლება აქვს იყოს ისეთ ცხოვრებისეულ დონეზე რომელიც გულისხმობს საკვების, ტანისამოსის, საცხოვრისის, სამედიცინო მოვლისა და სოციალური მომსახურების უზრუნველყოფას, რაც აუცილებელია თვით მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და დოვლათისათვის, ადამიანს აქვს უფლება უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, სიბერეში დაუძლურების თუ, მისგან დამოუკიდებლად არსებობისათვის სხვა საშუალებების დაკარგვის შემთხვევაში.“ როგორც ეს დეკლარაციის პრეამბულიდან ჩანს ხალხი და სახელმწიფოები უნდა ესწრაფოდნენ მისი დებულებების თანდათანობით შესრულებას ეროვნული თუ საერთაშორისო ღონისძიებების მეშვეობით. „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით: „ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას ინდივიდუალური წესით და საერთაშორისო დახმარებისა და თანამშრომლობის, კერძოდ, ეკონომიკურ და ტექნიკურ დარგებში საერთაშორისო დახმარებისა და თანამშრომლობის წესით, არსებული რესურსების მაქსიმალურ ფარგლებში მიიღოს ზომები, რათა თანდათან უზრუნველყოს ამ პაქტით აღიარებული უფლებების სრული განხორციელება ყველა მართებული საშუალებით, მათ შორის, კერძოდ, საკანონმდებლო ღონისძიებათა მიღებით.“ სახელმწიფო არამარტო მაშინაა ვალდებული დაიცვას მოქალაქეთა სოციალური უფლებები, როცა ამა თუ იმ მომსახურებას უშუალოდ თვითონ ახორციელებს, არამედ მაშინაც, როდესაც ეს მომსახურება კერძო პირთა ხელშია.“ **(ბაჭუა გაჩეჩილაძე, ვლადიმერ დობორჯგინიძე, გივი დონაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №1/126,129,158, 18 აპრილი, 2002)**

„სასამართლო კოლეგია არ უარყოფს სხვადასხვა კატეგორიის სუბიექტთა სოციალური უზრუნველყოფის დარგში სამართლიანი განსხვავებების შესაძლებლობას. კერძოდ და საჯარო სამართალში არსებულ თავისებურებათა მიუხედავად დაუშვებელი უნდა იყოს ადამიანთა სოციალური უზრუნველყოფის საერთო პრინციპების მთლიანად იგნორირება. პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელებაში მონაწილეობა არ უნდა იქცეს ისეთ პრივილეგიად, რაც არსებით წინააღმდეგობაში მოვა ადამიანის უფლებათა თანასწორობის უნივერსალურ პრინციპებთან. სასამართლო თვლის, რომ დაუშვებელია ერთი კატეგორიის სუბიექტების სოციალური უფლებებისადმი პრინციპულად განსხვავებული მიდგომა, მითუფრო ისეთ პირობებში, რომ მოსარჩელე უკვე მიეკუთვნება მოწყვლად ჯგუფთა კატეგორიას, რადგან იღებს

არამხოლოდ ასაკობრივ პენსიას, არამედ არის სოციალურად დაუცველიც“.

„სოციალური სახელმწიფოს მიზანია სამართლიანი სოციალური წესრიგის დამკვიდრება, საერთო ეკონომიკური წონასწორობის შენარჩუნება, მოსახლეობის შეძლებისდაგვარად თანაბარზომიერი უზრუნველყოფა, ქვეყნის მასშტაბით ცხოვრების მაქსიმალურად თანაბარი პირობების შექმნა. ეს მიზნები, ობიექტური გარემოებების გამო, არ არის სრულად მიღწევადი და უწინარესად, წარმოადგენს მუდმივ ამოცანას და ზრუნვის საგანს სახელმწიფოსათვის. სახელმწიფოს ამ მიმართულებით მოქმედების ფართო არეალი გააჩნია. სუბიექტური უფლებები, გარკვეული სოციალური რეგულირების მოთხოვნა და კონკრეტული მოვალეობები კანონმდებლისათვის სოციალური სახელმწიფოს ცალკე აღებული პრინციპიდან არ გამომდინარეობს.

(საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №2/1/392, 31 მარტი, 2008). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 346-ე მუხლთან ერთობლიობაში ამავე კოდექსის 54-ე მუხლის დანაწესით (რომლის თანახმადაც ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს) მხარეთა შორის გაფორმებული სტანდარტული ხელშეკრულების 4.1.2. პუნქტი უნდა გამოცხადდეს ბათილად.

ამასთან, თუკი სხვა რამ არ დასტურდება, ივარაუდება, რომ მოვალე არ მოინდომებდა იმგვარ სახელშეკრულებო პირობაზე თანხმობის გაცემას, რომელიც მას საპენსიო გასაცემლის იმ მინიმალურად ზღვრული თანხის, რომელიც საჭიროა თვიდან თვემდე მხოლოდ არსებობისათვის, ჩამოჭრილიყო ნაკისრი ვალდებულებების დასაფარად. ამის გააზრების შესაძლებლობა კი მას ექნებოდა მხოლოდ საკრედიტო დაწესებულების მხრიდან ხელშეკრულებაში ამგვარი ვალდებულების განმსაზღვრელი დათქმების არსებობის შესახებ ინფორმირების შემთხვევაში.

მხარის ინფორმირებულობის მეორე ასპექტს წარმოადგენს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მომხმარებლისათვის მისაღები ფორმით, რომელიც გულისხმობს საკრედიტო დაწესებულების ვალდებულებას, მიაწოდოს მომხმარებელს საჭირო ცნობები, აღქმადი, გასაგები და ინდივიდუალურად მორგებული ფორმით. თანაბარმნიშვნელოვანია მომხმარებლის ფსიქოლოგიური განწყობა, პიროვნული აღქმადობის დონე, ვითარება, რომელშიც იდება ხელშეკრულება, ან - ყველა დასახელებული ფაქტორი ერთად. ამავდროულად, სასამართლო განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ მტკიცების ტვირთი ინფორმაციის და განმარტების ვალდებულების სრულფასოვან შესრულებაზე ეკისრება საკრედიტო დაწესებულებას. სწორედ მის ხელთ არის ბერკეტი იმისა, რომ შექმნას სარწმუნო მტკიცებულებები ინფორმირების ვალდებულების შესრულების დასადასტურებლად. ამ არგუმენტის თვალსაჩინოებისთვის სასამართლო მოიხმობს მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, რომელმაც 2014

წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილებაში აღნიშნა „...ეფექტურობის პრინციპი ხორციელდება იქ, სადაც კრედიტორმა უნდა დაუმტკიცოს სასამართლოს, რომ ინფორმირების და განმარტების წინასახელშეკრულებო ვალდებულება მის მიერ შესრულდა. გონიერი კრედიტორი უნდა აცნობიერებდეს მტკიცებულებების შეგროვების და შენახვის აუცილებლობას, რომ მის მიერ ვალდებულება ინფორმაციის უზრუნველყოფის და განმარტების თაობაზე შესრულებულია...“. **(court of justice of the european union 18 december 2014. judgment in case C-449/13.CA Consumer Finance SA V Ingrid Bakkaus and Others).**

უფრო მეტიც, „სუსტი“ მხარის დაცვის საკანონმდებლო სტრატეგია მოიაზრებს მის პასიურ მდგომარეობას ინფორმაციის მოპოვების თვალსაზრისით. ამგვარი სულისკვეთება გაზიარებულია მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2012 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებაში, სადაც აღნიშნულია: „...მეწარმე პირი ვალდებულია, მიაწოდოს ინფორმაცია მომხმარებელს იმის მოლოდინის გარეშე, რომ ისინი დამოუკიდებლად მოიძიებენ ამ ინფორმაციას. მომხმარებელი პასიური უნდა რჩებოდეს ინფორმაციის მოპოვების კუთხით...“ **(court of justice of the european union 5 jule 2012. judgment in case C-49/11. Content services Ltd v Bundesarbeitskammer).**

ბანკი აცხადებს, რომ მოსარჩელისათვის ცნობილი იყო აღნიშნული დათქმის თაობაზე და მას განემარტა მისი შინაარსი, თუმცა, ზემოთ მოყვანილი მსჯელობის საწინააღმდეგოდ, მოპასუხეს არ წარმოუდგენია ამ გარემოების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება (ვიდეო ან აუდიო ჩანაწერი, რომელიც მუდმივად ხორციელდება საბანკო დაწესებულებათა მიერ). ამასთან, საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ასლის მოცულობის მიხედვითაც, რომ ვიმსჯელოთ შეუძლებელიც იქნებოდა საბანკო დაწესებულების თანამშრომელთა მიერ მსესხებლის ინფორმირება ყველა მუხლთან მიმართებით (აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სესხის ხელშეკრულება დადებულია 09.01.2017წ. ბანკომატიდან თანხის აღების გზით, რაც მისთვის ხელშეკრულების ასლის გადაცემას შეუძლებელს გახდიდა).

სტანდარტული პირობები არის მრავალჯერადი გამოყენებისთვის გამიზნული პირობები, თუ შემთავაზებელი მათ გამოყენებას სამჯერ მაინც აპირებს (BGH NJW, 2002, S. 138.). მინიმუმ სამჯერ გამოყენებისას, შემთავაზებლის განზრახვაში იკვეთება ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მრავალჯერ გამოყენების მიზანი. სტანდარტული პირობა მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნულად რომ მივიჩნიოთ, საკმარისია შემთავაზებელს ჰქონდეს განზრახვა, გამოიყენოს ესა თუ ის სტანდარტული პირობა მრავალჯერადად, თუნდაც ის სტანდარტულ პირობებს პირველად იყენებდეს. საკმარისია ასევე შემთავაზებლის განზრახვა გამოიყენოს სტანდარტული პირობები მრავალჯერ თუნდაც ერთიდაიგივე კონტრაქტთან **(BGH NJW, 2004, S. 1454.)**. მნიშვნელობა არ აქვს წინასწარ ჩამოყალიბებული სტანდარტული პირობების ფორმას. როგორც წესი ისინი აისახება ხელშეკრულების ტექსტში

(ზოიძე , სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 342, გვ. 183). ისინი ასევე შეიძლება აისახონ ხელშეკრულების დანართში.

სტანდარტული პირობები როგორც კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ალტერნატივა ან მათი შემკვები წესები შეიცავენ პირობებს, რომლებიც ხშირად არ არის კანონში გათვალისწინებული და შემთავაზებლის საქმიანობის სპეციფიკას გამოხატავენ (ზოიძე , სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 342, გვ. 184). აქ საუბარია, რა თქმა უნდა, კანონის დისპოზიციურ ნორმებზე. იმპერატიული ნორმების შეცვლა დაუშვებელია და ასეთი პირობა იქნება ბათილი. სტანდარტული პირობა მხოლოდ მაშინ ექცევა 345 მუხლის და მის მომდევნო მუხლების კონტროლ ქვეშ, თუ იგი კანონის დისპოზიციურ ნორმებს ავრცობს ან ცვლის. თუ სტანდარტული პირობა კანონის ნორმებს იმეორებს, იგი სასამართლოს შინაარსობრივ კონტროლს აღარ ექვემდებარება.

საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულების სათაურიდანვე ირკვევა, რომ იგი სტანდარტულ ხელშეკრულებათა რიგს განეკუთვნებოდა. რაც შეეხება მტკიცების სტანდარტს, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს შემდეგ გარემოებებზე: მტკიცების ტვირთს იმასთან დაკავშირებით, რომ პირობა წარმოადგენს სტანდარტულს 342-ი მუხლის მიხედვით, ზოგადად მეორე მხარე ატარებს, ანუ პირი, რომელსაც სურს 342-ე და მომდევნო მუხლებში გაწერილი დაცვითი მექანიზმების ამოქმედება. ჩვეულებრივ, საკმარისია გარეგნულ ფორმაზე მითითება, რადგან დაბეჭდილი, ან სხვაგვარად გამრავლებული სახელშეკრულებო შაბლონი პირველი შთაბეჭდილების თანახმად სტანდარტულ პირობად ითვლება (BGHZ 118, 238; OLG Dresden WM 2001, 2167).

სტანდარტული პირობების შემუშავების ძირითადი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ ეს პირობები შემდგომში ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი გახდეს, რათა მხარეებმა ურთიერთობა ამ პირობების შესაბამისად მოიწესრიგონ (ჭანტურია , სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 343, გვ. 187). 342-ე მუხლის გაგებით სტანდარტული პირობები მხოლოდ მაშინ ჩაითვლება ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად, თუ მოხდა მხარეთა მიერ მათი ხელშეკრულებაში ჩართვა – „იქცა ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად“.....(Becker , in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305 Rn. 41).

მიუხედავად იმისა, რომ საბანკო კრედიტის შესახებ ხელშეკრულება დაიდო ელექტრონულად (მობილურზე მოსული კოდით ბანკომატის მეშვეობით განაღდების გზით) კონტრაქტს უნდა ჰქონდეს უპრობლემოდ გაცნობის შესაძლებლობა და მას მოეთხოვებოდეს ამის გაკეთება. გაცნობის შესაძლებლობა უნდა იყოს მარტივი როგორც მისი ფორმიდან, ისე სტანდარტული პირობების წაკითხვადობისა და ფორმულირებიდან გამომდინარე (სსკ-ის 343-ე მუხლის კომენტარი, 21 მარტი, 2017 წელი, გიორგი რუსიაშვილი, ხელმისაწვდომია საიტზე - <http://www.gccc.ge/> წიგნი-მესამე/ზოგადი-ნაწილი/კარი-პირველი/თავი-მესამე/მუხლი-343/).

ხელშეკრულების სტანდარტული პირობის მსესხებლისათვის გაცნობის ტვირთი მოდის მოპასუხე ორგანიზაციაზე - ბანკზე, რაც ვერ იქნა დაძლეული. ზემოაღნიშნული მხედველობაში მიღებით სასამართლომ ხელშეკრულების სტანდარტული პირობის სადავო პუნქტი ბათილად სცნო.

6.3. თავდაპირველი სარჩელის რიგით მეორე სასარჩელო მოთხოვნა კმაყოფილდება პირველი მოთხოვნის დაკმაყოფილების კვალობაზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 385-ე მუხლის თანახმად, ის, რაც ვალდებულების გარეშეა გადახდილი, შეიძლება უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ წესების მიხედვით უკან იქნეს მოთხოვილი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976.1. მუხლის მიხედვით, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ: ა) ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში; ბ) ვალდებულების საწინააღმდეგოდ ისეთი შესაგებელი იქნა წარდგენილი, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამორიცხულია მოთხოვნის წარდგენა.

გადაწყვეტილების 3.2.1. პუნქტის მიხედვით, უაქცეპტოდ ჩამოჭრის შესახებ სტანდარტული პირობა ბათილად იქნა ცნობილი. შესაბამისად, მოსარჩელეს აქვს უფლება მოითხოვოს, ხოლო მოპასუხე ვალდებულია დააბრუნოს კანონიერი საფუძვლის გარეშე ჩამოჭრილი და გადახდილად ჩათვლილი 260 ლარი. სასამართლო აქვე განმარტავს, რომ არ არსებობს კონდიქციური ვალდებულებით უკან დაბრუნების წესის გამომრიცხავი არცერთი გარემოება.

6.4. შეგებებული სარჩელის ფაქტობრივი მოცემულობაა - საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო თანხის დაკისრება.

სასამართლო განმარტავს, რომ ხელშეკრულება იურიდიული ფაქტია, რომელიც იწვევს ვალდებულებას, ვალდებულება კი სამართლებრივი ურთიერთობაა, რომელიც წარმოიშობა არა მხოლოდ ხელშეკრულებიდან, არამედ სხვა საფუძვლებიდანაც. ანუ, ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთ დამოუკიდებელ საფუძველს წარმოადგენს - ორი ან მეტი პირის შეთანხმება (ხელშეკრულება), რომელიც მიზნად ისახავს კონკრეტული სამართლებრივი შედეგის მიღწევას და იწვევს მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობას (სსკ-ის 316.1.; 317.1. მუხლები).

სსკ-ის 867-ე მუხლის შესაბამისად, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით კრედიტის გამცემი აძლევს ან მოვალეა მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი

კრედიტი სესხის ფორმით. 868-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მხარეთა შეთანხმებით კრედიტორისათვის შეიძლება განისაზღვროს მყარი ან ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი.

ბანკისა და კლიენტის ურთიერთობა მოცემულ შემთხვევაში ეფუძნებოდა საბანკო კრედიტის ხელშეკრულებას. სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლის შესაბამისად, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით კრედიტის გამცემი აძლევს ან მოვალეა მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით; ხოლო იმავე კოდექსის 623-ე მუხლის შესაბამისად, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. ამრიგად, საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მთავარი მიზანია სასყიდლიანი კრედიტის სახით მსესხებლისათვის ფულის საკუთრებაში გადაცემა, ხოლო შემდეგ მისგან სარგებელთან ერთად იმავე სახისა და რაოდენობის ფულის მიღება **(საქმე №ას-1338-1376-2014, 29 ივნისი, 2015 წელი)**.

საქმეზე დადგენილია, რომ მხარეთა შორის 09.01.2017წ. გაფორმდა საბანკო კრედიტის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე მოპასუხემ მიიღო ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, თუმცა მისი დაბრუნების ვალდებულება დაარღვია.

6.5. სახელშეკრულებო ბოჭვის პირობებში პირი ვალდებულია შეასრულოს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებები. სწორედ, აღნიშნულ პრინციპზე მიუთითებს სსკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს ვალდებულების შესრულების ძირითად კრიტერიუმებს. აღნიშნული ნორმის დანაწესის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამდენად, ყოველი შესრულება უნდა შეესაბამებოდეს მოცემულ მუხლში მოყვანილ პირობებს. ვალდებულების შესრულებულად მიჩნევის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია იმ პირობების დაცვა, რაც ვალდებულების შესრულებას უზრუნველყოფს და შესაბამისად, ვალდებულების შეუსრულებლობას გამორიცხავს. სწორედ ეს ნორმა განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა შესრულდეს ვალდებულება, ისე, რომ არ მოხდეს ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის რღვევა და აწესებს ვალდებულების შესრულების ისეთ სტანდარტს, რომლითაც დაცულია არა მხოლოდ ვალდებულების შესრულება, არამედ მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერი მოპყრობა. ყოველი მოქმედება არ იწვევს ვალდებულების შესრულებას და შესაბამისად ვალდებულების შესრულების სამართლებრივი შედეგის დადგომას (სსკ-ს 427-ე მუხლი). ვალდებულების შესრულება ნიშნავს იმ მოქმედების შესრულებას (ან მოქმედებისაგან თავის შეკავებას), რომლის მოთხოვნის უფლებაც კრედიტორს აქვს. სწორედ ასეთი მოქმედება წარმოადგენს ვალდებულების ობიექტს. დავის

ფარგლებში, დადგენილია სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, მოპასუხის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი (სსკ-ის 361-ე და 400-ე მუხლები), რაც ანიჭებს კრედიტორს ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესრულების მიღების - გადაუხდელი სესხის ძირითადი თანხის მოთხოვნის უფლებას.

6.6. შეგებებულ სარჩელზე მოსარჩელის მოთხოვნა მხარეთა შეთანხმებით კრედიტორისათვის შეიძლება განისაზღვროს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი ან ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 868.1 მუხლის თანახმად, მხარეთა შეთანხმებით კრედიტორისათვის შეიძლება განისაზღვროს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი ან ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთი. სასამართლო მიუთითებს, რომ სარგებლის (პროცენტის) გადახდის ვალდებულება, რომელიც მხარეებმა გაითვალისწინეს სესხის ხელშეკრულებისათვის, შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში. სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის შემადგენლობის შემოწმების მიზნით აღნიშნავს შემდეგს: მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული პროცენტი, თუ კრედიტორს სხვა საფუძვლებიდან გამომდინარე, უფრო მეტის მოთხოვნა არ შეუძლია. დასახელებულ ნორმათა ანალიზი ცხადყოფს, რომ სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტი, რომელიც თავისი შინაარსით სარგებელია, განსხვავდება 403-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტისაგან, რომელიც ის ზიანია, რაც განიცადა კრედიტორმა ფულადი თანხის გადახდის ვალდებულების დარღვევის გამო. ამასთან, 403-ე მუხლით სარჩელის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა: მოვალეს შესასრულებელი უნდა ჰქონდეს ფულადი ვალდებულება; ფულადი ვალდებულების შესრულების ვადა უნდა იყოს დარღვეული; ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისათვის უნდა არსებობდეს მხარეთა შეთანხმება პროცენტის თაობაზე **(იხ. სუსგ, №ას-1701-1685-2011, 22 ოქტომბერი, 2012 წელი; №ას-408-381-2017, 30 ივნისი, 2017წ.)**.

თავად ბანკი მიუთითებდა, რომ სს „ლიბერთი ბანკსა“ და ნანა გულორდავას შორის, 2017 წლის 09 იანვარს გაფორმებული იქნა N26208681 საბანკო კრედიტის ხელშეკრულება (ლიბერთი ექსპრესი), რომლის მიხედვით გასასესხებელი თანხის ოდენობამ შეადგინა 300 ლარი, სარგებელი - 39.6%, კრედიტის მოქმედების ვადად განისაზღვრა 1 თვე. თანხა სარგებელთან ერთად უნდა დაბრუნებულიყო 08.02.2017წ.-მდე. მართალია, რომ ვალდებულება არ შესრულდა ძირითადი თანხის დაბრუნების ნაწილში, მაგრამ მოსარჩელეს არ წარმოუდგენია არანაირი ფაქტი, მითითება ან მტკიცებულება იმასთან დაკავშირებით, რომ მხარეები შეთანხმდნენ სარგებლის დარიცხვის

შესაძლებლობაზე სახელშეკრულებო ვადის ამოწურვის შემდეგაც. ამდენად, სარგებლის მსესხებლისათვის დაკისრების ნაწილში მოთხოვნა საფუძველს მოკლებულია და არ კმაყოფილდება.

6.7. მიუხედავად იმისა, რომ კრედიტორი ბანკის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველები შემოწმდა მოპასუხე მიუთითებდა, მოთხოვნის ხანდაზმულობაზე, რაც მასზე თანხის დაკისრების მოთხოვნას განუხორციელებლად აქცევს.

სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს შესაგებლის წარდგენა. შესაგებლის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს მოთხოვნის შემწყვეტი ან განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლები. მოპასუხის მიერ მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებლის განხორციელების შემთხვევაში უპირველესად უნდა იქნეს მოძიებული მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა, რომელიც შესაძლოა უპირისპირდებოდეს მოსარჩელის (სამართლებრივ) მოთხოვნის უფლებას; აღნიშნული სამართლებრივი ნორმა, ისევე, როგორც მოსარჩელის სტადიაზე მოსაძიებელი მოთხოვნის საფუძველი, უნდა გამომდინარეობდეს კანონიდან (მაგალითად, ვალდებულების შესრულების შესაგებელი სსკ-ის 427-ე ან 434-ე მუხლის საფუძველზე, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა სსკ-ის 442-ე მუხლის საფუძველზე, ვალის პატიების შესაგებელი სსკ-ის 448-ე მუხლის საფუძველზე, კონფუზიის შესაგებელი სსკ-ის 452-ე მუხლის საფუძველზე). მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი - ხანდაზმულობის შესაგებლის შემოწმება უნდა მოხდეს სსკ-ის 144-ე მუხლის პირველი ქვეპუნქტის საფუძველზე.

სასამართლო აღნიშნავს, რომ სსკ-ის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე. ხანდაზმულობის ვადების დაწესებით, კანონმდებლის მიზანია გამორიცხოს კრედიტორის უფლების განხორციელების არათანაზომიერად ან ბოროტად გამოყენების საფრთხე. გარდა ამისა: ა) ხანდაზმულობის ვადა სასამართლოს უმსუბუქებს ფაქტების დადგენისა და შესწავლის პროცესს და ამ გზით ხელს უწყობს დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანას; ბ) ხელს უწყობს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილიზაციას; გ) აძლიერებს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების ურთიერთკონტროლსა და იძლევა დარღვეული უფლების დაუყოვნებლივ აღდგენის სტიმულიზაციას (**იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007, გვ. 63; შდრ. სუსგ 11.06.2012 საქმე №ას-547-515-2012**).

აღსანიშნავია, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლით ისპობა სასამართლოს ან სხვა ორგანოს მეშვეობით პირის მოთხოვნის იძულებით განხორციელების

შესაძლებლობა, მაგრამ არა სასამართლოსათვის ან სხვა ორგანოსათვის მიმართვის უფლება. ხანდაზმულობის ვადა სპობს უფლების იძულებით განხორციელების შესაძლებლობას მატერიალური და არა პროცესუალური თვალსაზრისით. ხანდაზმულობის ვადის საფუძველია უფლების დარღვევა, რომელიც შესაძლოა კანონიდან გამომდინარეობდეს ან ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშვას. ხანდაზმულობის ვადების გათვალისწინება სასამართლოს მიერ ხორციელდება არა საკუთარი ინიციატივით, არამედ მხოლოდ საქმის განხილვაში მონაწილე მხარეების (მხარის) მიერ აღნიშნულზე მითითების შემთხვევაში.

სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გულისხმობს დროის გარკვეულ მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შესაძლებლობა აქვს, მოითხოვოს საკუთარი უფლებების სამართლებრივი გზით (იძულებით) განხორციელება ან დაცვა. ამ ვადის გაცდენა კი გულისხმობს ამ პირთა მიერ ასეთი შესაძლებლობის გამოყენების უფლების მოპსპობას, გაქარწყლებას. „მხარეთა სასარჩელო შესაძლებლობები ხშირად არის ვადით შეზღუდული. სამოქალაქო სამართალში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ პირი კარგავს უფლების სასამართლო გზით დაცვის შესაძლებლობას“ **(საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება №1/3/161 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ოლღა სუმბათაშვილი და იგოგ ხაპროვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).**

სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები ასევე მიიჩნევა საქმის სწორად გადაწყვეტის ერთ-ერთ ეფექტურ გარანტიად. კერძოდ: გადაწყვეტილება ეფუძნება მხარეთა მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, შესაბამისად, მტკიცებულებათა უტყუარობა, მათი ვარგისიანობის, ნამდვილობის უტყუარად დადგენის შესაძლებლობა უმნიშვნელოვანესია სწორი და ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად. სამართალწარმოებაში შეცდომის თავიდან აცილება უპირველესი მიზანია. ამასთან, ხანგრძლივი დროის გასვლამ შეიძლება გამოიწვიოს მტკიცებულებების შეცვლა ან მათი მოპოვების უკიდურესად გართულება, ზოგჯერ კი – განადგურება, რაც, საბოლოო ჯამში, გაართულებს სადავოდ გამხდარი მტკიცებულებების საიმედოობის დადგენას. როდესაც ხანგრძლივი დროა გასული იმ მოვლენიდან, რომელმაც სადავო გარემოებები წარმოშვა, მაღალია ალბათობა, რომ მტკიცებულებები, რომლებიც ადრე არსებობდა, შეიძლება დაკარგული ან სახეშეცვლილი იყოს, ასევე გაფერმკრთალდება მოწმეთა მეხსიერება, რომელთა ჩვენებებს სასამართლო დავის გადაწყვეტისას უნდა დაეყრდნოს, გაიზრდება სავარაუდო, არასანდო მტკიცებულებათა რიცხვი. შედეგად, მეტი ალბათობით შეიქმნება ნიადაგი საქმის ფაქტობრივი გარემოებების არაობიექტური შეფასებისათვის. ხანდაზმულობის ვადა წარმოადგენს მცდელობას, დაიცვას მხარეები ასეთი საფრთხეებისაგან.

ზემოთ ჩამოთვლილი ლეგიტიმური მიზნების არსებობას იზიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც. 1996 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში **საქმეზე სტაბინგი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, სასამართლო განმარტავს:** „... ხანდაზმულობის ვადები ემსახურება რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს, კერძოდ, სამართლებრივ განსაზღვრულობას და საბოლოობას, პოტენციური მოპასუხეების დაცვას ძველი სარჩელებისგან, რომლებისგან თავის დაცვაც შეიძლება რთული აღმოჩნდეს და უსამართლობის თავიდან აცილებას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას, თუ სასამართლოები იძულებული გახდებიან გადაწყვიტონ საქმეები, რომლებიც შორეულ წარსულში მოხდა, იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც შესაძლოა, დროის გასვლის გამო არასაიმედო ან არასრული იყოს“ (**Stubbings and Otherss v The United Kingdom, განაცხადის ნომერი №22083/93; №220095/93, 22 ოქტომბერი, 1996. (პარ. 51).**)

ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება დაკავშირებულია სუბიექტურ ფაქტორთან ანუ იმ მომენტთან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ. საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აწევს. ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების საფუძველია უფლების დარღვევა, რომელიც შესაძლოა კანონიდან გამომდინარეობდეს ან ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშვას. ხანდაზმულობის ვადების გათვალისწინება სასამართლოს მიერ ხორციელდება არა საკუთარი ინიციატივით, არამედ მხოლოდ საქმის განხილვაში მონაწილე მხარეების მიერ აღნიშნულზე მითითების შემთხვევაში. მოთხოვნის ხანდაზმულობაზე სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ მოპასუხეს შესაგებელში აქვს მითითებული ან მიუთითებს პირველ ინსტანციაში საქმის მომზადების დასრულებამდე (**იხ. დამატებით: ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდთა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 170).**)

შესაგებელში გაცხადდა, რომ ბანკის მოთხოვნა მსესხებლის მიმართ ხანდაზმულია. სასამართლო მიუთითებს, რომ საბანკო კრედიტის შესახებ ხელშეკრულება დადებულია 09.01.2017წ., ერთი თვის ვადით. დადასტურებულია ისიც, რომ პირველ თვეს ვალდებულება არ შესრულებულა. საქმის მასალების კვლევით დადგენილია, რომ მსესხებელი ახდენდა სესხის გადავადებას და პროლონგირების წესით, მხარეები ძირითადი ვალდებულების შესრულების გადავადებას ახდენდნენ შესაბამისი საფასურის გადახდით. საქმეში კრედიტორის მიერ წარმოდგენილია ამონაწერი მოპასუხის საბანკო ანგარიშიდან, სადაც ნათლად ჩანს, რომ 38 ლარი მოპასუხის მხრიდან გადახდილ იქნა 22.06.2020წ, რაც თვით მოპასუხემაც დაადასტურა (იხ. ამონაწერი საქმეში). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137.1 მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებულები პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას.

მოსარჩელის მიერ შეგებებული სარჩელი აღძრულია 26.04.2023წ., ბოლო გადახდა ნაწარმოებია 22.06.2020წ., რის გამოც შეწყდა მანამდე არსებული ხანდაზმულობა. 22.06.2020წ.-იდან კი სარჩელი აღძრულია კანონით დადგენილ ვადაში. ამდენად მოთხოვნა არ არის ხანდაზმული.

7. საპროცესო ხარჯები.

7.1. სსკ-ის 53.1. მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე თავდაპირველი სარჩელის ფარგლებში გათავისუფლებული იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან, შეგებებულ სარჩელის დაკმაყოფილების გამო მას ხარჯის დაკისრების გამომრიცხავი სამართლებრივი საფარველი აღარ გააჩნია, ვინაიდან შეცვლილია პროცესუალური დამფუძნებელი (პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი) ნორმა.

7.2. თავდაპირველ სარჩელზე დავის საგანი მიკუთვნებით ნაწილში 1 040 ლარიდან შემცირდა 260 ლარამდე, რაც თავდაპირველი მოთხოვნის 25%-ს შეადგენს. მიუხედავად ამისა, საქმეზე უფრო დიდი ღირებულების დავის საგნის მქონე მოთხოვნა გარიგების ბათილად ცნობა განიხილებოდა, რის გამოც სარჩელზე განსახილველი ბაჟის შემცირებაზე მიკუთვნებითი ნაწილის შემცირება გავლენას ვერ იქონიებს. ბანკს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სარჩელზე გაღებული სახელმწიფო ბაჟის 100 ლარის გადახდა, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის განცხადებაზე გაღებული ხარჯის ასანაზღაურებლად 50 ლარის გადახდა.

7.3. მოსარჩელეს უნდა დაუბრუნდეს ზედმეტად გაღებული სასამართლო ბაჟის თანხა 16 ლარის ოდენობით.

7.4. ბანკის სარჩელზე დავის საგანი შეადგენდა 416 ლარს, რაც დაკმაყოფილდა მხოლოდ 281.16 ლარის ნაწილში. დაკმაყოფილებული ნაწილი თავდაპირველი დავის საგნის 67.58%-ს შეადგენს, რის გამოც მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა გადახდეს 33.79 ლარი სარჩელზე გაღებული სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად. დარჩენილი ნაწილი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის გამო ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად.

8. უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებული საკითხები

8.1. აღნიშნულ საქმეზე, თავდაპირველი სარჩელის ფარგლებში, თბილისის

საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 258.01.2022წ. განჩინებით ნ.გ-ს განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდა და შეჩერდა ნ.გ-ს და სს „ლიბერთი ბანკს“ შორის 2017 წლის 09 იანვრის ხელშეკრულების 4.1.2. პუნქტის მოქმედება, რომლის თანახმად, „იმ შემთხვევაში თუ კრედიტის და მასთან დაკავშირებული გადასახდელების გადახდის დღეს მსესხებელი არ განათავსებს კრედიტის მომსახურე ანგარიშზე საკმარის თანხას დავალიანების დასაფარად, მსესხებელი აცხადებს წინასწარ თანხმობას ბანკის სრულ უფლებამოსილებაზე ბანკმა საკუთარი შეხედულებისამებრ განახორციელოს ბანკში მსესხებლის ანგარიშებზე არსებული თანხების სრული ან/და ნაწილობრივი ბლოკირება; ან/ და ბანკში არსებული მსესხებლის ანგარიშ(ებ)იდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად კრედიტის და მასთან დაკავშირებული გადასახდელების თანხები) და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულებების დასაფარად/შესამცირებლად და სს „ლიბერთი ბანკს“ აეკრძალოს ნ.გ-ს სახელზე გაცემული პენსიის დაკავება, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 199¹-ე მუხლის მიხედვით, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით. მხარეთა მორიგების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

ვინაიდან მოსარჩელის (შეგებებულ სარჩელზე მოპასუხის) მოთხოვნა დაკმაყოფილდა არ არსებობს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების წინაპირობები.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 53-ე, 199¹-ე, 243-244-ე, 248-250-ე, 257-ე, 259¹-ე, 364-ე, 369-ე მუხლებით

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ნ.გ.ს სარჩელი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი ნ.გ. და სს „ლიბერთი ბანკს“ (ს/ნ 203828304) შორის, 09.01.2017 წელს დადებული, საბანკო

კრედიტის შესახებ ხელშეკრულების 4.1.2. პუნქტი, რომლის მიხედვითაც: „იმ შემთხვევაში, თუ კრედიტის და მასთან დაკავშირებული გადასახდელის გადახდის დღეს მსესხებელი არ განათავსებს კრედიტის მომსახურე ანგარიშზე საკმარის თანხას დავალიანების დასაფარად, მსესხებელი აცხადებს წინასწარ თანხმობას ბანკის სრულ უფლებამოსილებაზე ბანკმა საკუთარი შეხედულებისამებრ განახორციელოს ბანკში მსესხებლის ანგარიშზე არსებული თანხების სრული ან/და ნაწილობრივი ბლოკირება; ან/და ბანკში არსებული მსესხებლის ანგარიშებიდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულების დასაფარად/შესამცირობლად.“

3. სს „ლიბერთი ბანკ“, ნ.გ-ს სასარგებლოდ, დაეკისროს 260 ლარის გადახდა.

4. სს „ლიბერთი ბანკ“, ნ.გ-ს სასარგებლოდ, დაეკისროს სარჩელზე და სარჩელის უზრუნველყოფის განცხადებაზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 150 ლარის ანაზღაურება.

5. ნ.გ-ს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუბრუნდეს 16.05.2022წ. №13326932759 საგადახდო დავალებით, სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილი 16 ლარის ოდენობით, გადახდილი 116 ლარიდან (გადამხდელი - ს.ფ - გადამხდელის ბანკი - სს „საქართველოს ბანკი“; ანგარიში/სახაზინო კოდი - 300 773 150; მიმღების ბანკი - ხაზინა; ბანკის კოდი TRESGE22).

6. სს „ლიბერთი ბანკის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

7. ნ.გ-ს, სს „ლიბერთი ბანკის“ სასარგებლოდ, დაეკისროს 281.16 ლარის გადახდა.

8. ნ.გ-ს, სს „ლიბერთი ბანკის“ სასარგებლოდ დაეკისროს მოსარჩელის მიერ სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ გაღებული ხარჯის 33.79 ლარის ანაზღაურება.

9. სს „ლიბერთი ბანკის“ სარჩელი დარჩენილ ნაწილში არ დაკმაყოფილდეს. სარჩელის დაუკმაყოფილებელი ნაწილის პროპორციულად გაღებული სახელმწიფო ბაჟი ჩაითვალოს ბიუჯეტში გადახდილად.

10. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში სარეზოლუციო ნაწილის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაცვით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის (მის: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მეშვეობით.

11. გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება გადაწყვეტილების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

მოსამართლე

ცისანა სირბილაძე